



ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAU LI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5006753719

22/10/2019



5006753719

ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და
განვითარების ცენტრის წარმომადგენელს ქალბატონ
ქეთევან კაკაბაძე-ავალიშვილს

(საქართველო, ქალაქი თბილისი, დელისის I შეს., №5ა)

ქალბატონო ქეთევან,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2019 წლის 30 სექტემბრის რეგისტრაციის N1008685619) საფუძველზე, გიგზავნით ქიმიური ექსპერტიზის N007377119 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 04 ფურცლად;

კვლევის ობიექტი - 01 ფუთა, დალუქული სახით.

პატივისცემით,

ვახტანგ კარგარეთელი

ბიუროს უფროსის პირველი მოადგილე



5006753719

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი

თარიღი

22.10.19

(ხელმოწერა) ბ.ა





007377119

ექსპერტის დასკვნა № 007377119

გაფრთხილება

ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის უფროსის მიერ განმეგრტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: ქიმიური

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: ფონდი საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

თანამდებობა: წარმომადგენელი

მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, დელისის I შეს., №5ა

სახელი და გვარი: ქეთევან კაკაბაძე-ავალიშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

მარინა იაკობაშვილი / ქიმიურ-ნარკოლოგიური ექსპერტიზის დეპარტამენტის კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 22 წლის სტაჟით. ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ, წარმოდგენილ ნიმუშს წიწიბურას (შეფუთულს პოლიეთილენის პარკში) ფირმა "კალო"-ს ჩაუტარდეს ორგანოლექტიკური ექსპერტიზა.

შემოსვლის თარიღი: 30/09/2019 წ

გასვლის თარიღი: 22/10/2019 წ

დასკვნა

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი წიწიბურას ბურღულის ნიმუში, ეტიკეტზე წარწერით "წიწიბურა კალო", გამოკვლეული ორგანოლექტიკური პარამეტრების მნიშვნელობებით შეესაბამება პროდუქციის ეტიკეტზე მითითებული სტანდარტით (გოსტი 5550-74) გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

მარინა იაკობაშვილი

გამოკვლევა

კვლევის ობიექტი კვების პროდუქტების, თამბაქოს ნაწარმის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების ექსპერტიზის სამმართველოს გადმოცემა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ნივთმტკიცების დასალუქი ერთი ცალი, ინდივიდუალური, ერთჯერადი პარკით (ფუთა), დალუქული სახით.

კვლევა დაიწყო: 11.10.2019; დამთავრდა 11.10.2019.

ფუტის გახსნისას მასში აღმოჩნდა ერთი ცალი პაკეტი (800 გრ-იანი დაფასოება), ნიშანდებით. პაკეტზე მოცემულია შემდეგი



007377119

ინფორმაცია: "წიწიბურა კალო 100% ნატურალური პროდუქტი. არ შეიცავს GMO. 800 გ. წიწიბურა წონა ნეტო 800 გ (±2%) სტანდარტი: 5550-74; კვებითი ღირებულება 100 გ პროდუქტზე: ენერგეტიკული ღირებულება: 329 კკალ. სულ ცხიმები: 2.6 გ საიდანაც ნაჯერი: 0.6 გ ნახშირწყლები: 68 გ; საიდანაც შაქრები: 1.4გ; ცილები: 12.6 გ. პროდუქცია შეიძლება შეიცავდეს ხორბლის და ქერის კვალს. დაფასებულია საქართველოში შპს. "დაკო ტრეიდ"-ის მიერ. თბილისი, ორხევი, ჩანტლადის ქ. N3. წარმოშობის ქვეყანა რუსეთი კალოTM დიზაინი და სავაჭრო ნიშანი წარმოადგენს შპს "ქართულ - ევროპული მაკარონის ინდუსტრია"-ს ექსკლუზიურ საკუთრებას. შტრიხკოდი "4860111280021". აქვე მოცემულია ინფორმაცია გამოშვების თარიღის "15.08.19", პარტიის ნომრის "022", შენახვის პირობების, ვადის (18 თვე) და მომზადების წესის შესახებ (იხ. ფოტოილუსტრაცია).

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვების გადასაწყვეტად კვლევა წარიმართა შემდეგი სქემით:

1. ორგანოლეპტიკური შეფასება სტანდარტის, გოსტი 26312.2-84-ის მიხედვით (აქტუალიზებულია 2019 წელს).

ჩატარებული ორგანოლეპტიკური გამოკვლევის შედეგები მოცემულია ცხრილში.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილი წიწიბურას ბურღულის გამოკვლევის შედეგები

პარამეტრის დასახელება	პარამეტრის მნიშვნელობა სტანდარტის (გოსტი 5550-74) მიხედვით	გამოსაკვლევ ნიმუშის პარამეტრები
ფერი	ყავისფერი - სხვადასხვა ელფერით	ღია ყავისფერი
სუნი	დამახასიათებელი წიწიბურას ბურღულისათვის, უცხო, ობისა და სიდამპლის სუნის გარეშე	დამახასიათებელი წიწიბურას ბურღულისათვის, უცხო სუნის, ობისა და სიდამპლის სუნის გარეშე
გემო	დამახასიათებელი წიწიბურას ბურღულისათვის, უცხო გემონაკრავის, სიმჟავისა და სიმწარის გემოს გარეშე	დამახასიათებელი წიწიბურას ბურღულისათვის, უცხო გემონაკრავის, სიმჟავისა და სიმწარის გემოს გარეშე
სარეველების მინარევი, %, არა უმეტესი	0.4 - I ხარისხისათვის; 0.5 - II ხარისხისათვის; 0.6 - III ხარისხისათვის	0.1
მათ შორის: - მინერალური, არა უმეტესი	 0.05	 არ აღმოჩნდა
ბელლის მავნებლებით დაბინძურება	არ დაიშვება	არ აღმოჩნდა

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს, ექსპერტიზაზე წარმოდგენილი წიწიბურას ბურღულის ნიმუში, ეტიკეტზე წარწერით "წიწიბურა კალო", გამოკვლეული პარამეტრების მნიშვნელობებით შეესაბამება პროდუქციის ეტიკეტზე მითითებული სტანდარტით (გოსტი 5550-74) გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

შენიშვნა: 1. გამოკვლევის შედეგები ვრცელდება წარმოდგენილ ნიმუშზე;



007377119

ექსპერტის დასკვნა № 007377119

2. ნიმუშის დარჩენილი ოდენობა, ერთი ფუთა, დალუქული სახით, უბრუნდება დამკვეთს.

მარინა იაკობაშვილი

მ. იაკობაშვილი

გამოყენებული მასალები

1. სტანდარტი (გოსტი 5550-74) - წიწიბურას ბურღული. ტექნიკური პირობები.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: მაია გონაშვილი

მ. გონაშვილი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: პაატა თუმურაშვილი

პ. თუმურაშვილი



007377119

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2



ფოტო 3



ფოტო 4